კავკასუს ონლაინი
საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა ფშაველას 71
ტელ.: (995 32) 20 00 00, ფაქსი: (995 32) 48 00 48
ელ. ფოსტა: info@co.ge

გასავალი № 1/2264
"29" 07 2010 წ.
ფურცლები

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს
ქ-ბ ეკა ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

თქვენი 2010 წლის 27 მაისის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს "კავკასუს ონლაინი" მოკლებულია შესაძლებლობას მიაწოდოს მომხამრებლებს გარკვეული პროგრამული პაკეტები, რომლის საშუალებითაც ინტერნეტის ხარისხის გაზომვაა შესაძლებელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შპს "კავკასუს ონლაინს" გაგზავნილი აქვს წერილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და მიღებული პასუხი აუცილებლად გეცნობებათ.

დანართი №1 – წერილი №1/2041 28.06.2010 (2 ფურცლად)

პატივისცემით,

გია ადეიშვილი
შპს "კავკასუს ონლაინი"-ს
გენერალური დირექტორი

CAUCASUS ONLINE LTD
211380833

CAUCASUS ONLINE

კავკასუს ონლაინი
საქართველო, თბილისი, 0186, ვაჟა ფშაველას 71
ტელ.: (995 32) 20 00 00, ფაქსი: (995 32) 48 00 48
ელ. ფოსტა: info@co.ge

გასულია № 1/2041
"28" 06 2010 წ.
ფურცელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ჩიქოვანს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის № 610/9 გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №400/9 გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად განხორციელდა ინტერნეტის ქსელებით მომსახურების საცალო ბაზარზე დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებების დაკონკრეტება და სპეციფიკური ვალდებულებების პირობებში ცვლილებების და დამატებების შეტანა.

აღნიშნილი ვალდებულებებიდან გვინდა კომისიის ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ვალდებულებებზე:

1. კომისიის № 610/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირმა, დაადგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს და აბონენტებთან გაფორმებულ კონკრეტულ ხელშეკრულებაში ასახოს ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების გარანტირებულად გამოყოფილი სიმძლავრეების (მომსახურების მოცულობის) ქვედა და ზედა ზღვრები, ასევე ამ სიმძლავრეების გაზომვის და საანგარიშო თვეში ამ სიმძლავრეების (მიღებული მომსახურების მოცულობის) საშუალო ოდენობების შეფასების მეთოდიკა".
2. კომისიის № 610/9 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 4.1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტული ავტორიზებული პირი ვალდებულია კომისიაში წარმოადგინოს ინფორმაცია, ბოლო მომხმარებლების რაოდენობის, დანახარჯების განაწილებისა, სატარიფო გეგმების და სხვა ავტორიზებული პირებისგან მიღებული შემოსავლების თაობაზე ინფორმაცია ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე".

პირველ სპეციფიკურ ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შპს „კავკასუს ონლაინი" ინტერნეტ მომსახურებას უწევს ათი ათასობით აბონენტს, რის გამოც ტექნოლოგიურად შეუძლებელია საანგარიშო თვეში განახორციელოს ინტერნეტ სიმძლავრეების გაზომვა თითოეული აბონეტისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული არანაირი სტანდარტი ან წესი, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ინტერნეტ სიმძლავრეების გაზომვა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს ამ ვალდებულების შესრულებას.

მეორე სპეციფიკური ვალდებულებას რაც შეეხება, იგი ფიზიკურად სრულდება, თუმცა არა იმ ვადაში რაც კომისიის მიერაა განსაზღვრული (ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვი). აღნიშნულის მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ კომპანიაში 15 რიცხვში ბოლომდე სრულყოფილად ვერ სრულდება კომისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შეგროვება. შესაბამისად, ამ ვალდებულების შესრულების ვადის გაზრდა ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვიდან ყოველი თვის მომდევნო 30 რიცხვამდე, უზრუნველყოფს კომისიისთვის დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომისიის შესაბამის თანამშრომლებთან ერთად მოხდეს წინამდებარე წერილში დაფიქსირებული საკითხების განხილვა, ხოლო თუ კომისია მართებულად მიჩნევს კომპანიის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, განხორციელდეს სათანადო ცვლილებების შეტანა კომისიის 2009 წლის 13 ნოემბრის № 610/9 გადაწყვეტილებაში.

პატივისცემით,

გია ადეიშვილი
გენერალური დირექტორი